

შესრულების გართულება და ფორს მაჟორი სახელშეკრულებო
ურთიერთობებში, თანამედროვე გამოწვევები და პრაქტიკა

ნინო ნემსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ნემსაძე

2021 წელი

აბსტრაქტი

სამოქალაქო ბრუნვა, სახელშეკრულებო ურთიერთობები, თავისი არსიდან გამომდინარე, გულისხმობს ურთიერთვალდებული პირების არსებობას, რომლებიც სახელშეკრულებო ბოჭვის მნიშვნელოვან პრინციპს აღიარებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არც ერთი ხელშეკრულება არსებობს დროსა და სივრცეში განყენებულად და გარემო პირობების ცვლილება, მასზე, როგორც ცოცხალ ორგანიზმზე ახდენს გავლენას. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, კონტრაქტები ხშირად დგებიან ვალდებულების შეუსრულებლობის პირისპირ. რიგ შემთხვევებში, ვალდებულების შეუსრულებლობა სახელშეკრულებო მხარეთაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება. ამის გამო, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე განმტკიცებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ინსტიტუტები: ფორს მაჟორი და შესრულების გართულება. ორივე დოქტრინა ნაცნობია სამართლის ყველა სისტემისთვის. ადვილი შესამჩნევია ზემოთხსენებული ინსტიტუტების სამართლებრივი წინაპირობების მსგავსება, რაც ართულებს მათ გამიჯვნას ერთმანეთისგან. საგულისხმოა ასევე, ფორს-მაჟორისა და შესრულების გართულების Pacta sunt servanda-თან შესაძლო წინააღმდეგობის საკითხი. კოვიდ 19-ი გამოწვეულმა პანდემიამ ორივე დოქტრინის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა- გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ბევრია დარღვეულ, გადავადებულ ვალდებულებათა რიცხვი. ამ ყოველივეს მიზეზად კი მხარეები პანდემიის არსებობას ასახელებენ. კონტრაქტები შეუსრულებლობის მიზეზზე საუბრისას უთითებენ პანდემიის, როგორც ფორს-მაჟორული გარემოების, ასევე პანდემიის, როგორც შესრულების გართულების გამომწვევი მოვლენის არსებობას. ზემოთმოცემულიდან გამომდინარე ისმის კითხვები: სად გადის ზღვარი დაუძლეველ ძალასა და შესრულების გართულებას შორის; აყენებს თუ არა ამ ორი ინსტიტუტის არსებობა და მათი პრაქტიკული განხორციელება საფრთხის ქვეშ სახელშეკრულებო სამართლის უზენაეს პრინციპს, რომლის თანახმადაც: ხელშეკრულება უნდა შესრულდეს; კოვიდ 19 ფორს მაჟორული გარემოებაა თუ შესრულების გართულების გამომწვევი მოვლენა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ზემოთმოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ხელშეკრულება, ვალდებულება, „შეუსრულებლობა“, გართულება, ფორს მაჟორი, გლობალიზაცია, მოდიფიცირება, კოვიდ 19

Abstract

Civil turnover, contractual relations, by its very nature, implies the existence of mutually obligated persons who recognize an importance of the binding nature of the contract. It should also be noted that no contract exists in isolation in time and space, and changes in environmental conditions affect it as a living organism. Contractors are often faced with non-performance. In some cases, the non-performance caused absolutely independent from the contracting parties. Because of this, doctrines which exclude their liability: Force Majeure and Hardship is reinforced with both the national and international levels. Both doctrines are familiar to all systems of law. It is easy to notice the similarity of the legal preconditions of the above institutions, which makes it difficult to separate them from each other. Another issue is a possible resistance between these two institutions (force majeure and Hardship) and Pacta sunt servanda. The pandemic caused by Covid 19 has deepened interest in both doctrines – because there are a large number of breached, postponed commitments. The parties name the existence of a pandemic as the reason for all this. Contractors point to the existence of a pandemic as a force majeure circumstance as well as a Hardship when talking about the cause of Non-performance. Based on the above, the main questions are: where does the line run between Force Majeure and Hardship; Does the existence of these two doctrines and their practical implementation jeopardize the supreme principle of contract law, according to which: the contract must be performed; Is Covid 19 Force Majeur or the event that causes Hardship. This paper is an attempt to answer the above questions.

Key Words: Agreement, Obligation, Non-performance, Hardship, Force Majeure, Globalization, Modify, Covid 19